სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
68310948258517

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170774865

რეგისტრაციის თარიღი
10.07.2017 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ათ ივლისს, მე, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.№12-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N 149/151/153 ბ. 1)** . მან განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს "ბი ემ სი გორგია"-ს** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას ამ რწმუნებულებით სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ლევან გელაშვილს (პ/ნ 57001013893); ხვიჩა პაპუნიძემ** მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **ხვიჩა პაპუნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია"-ს შესახებ 2) შპს "GBM" (იგივე „ ბი ემ სი „) –ის წესდება .

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

რწმუნებულება

შპს "ბი ემ სი გორგია"(ს/კ 245621288), წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის (პ/ნ 61006011559) სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი", **ლევან გელაშვილს** (დაბ: 24.10.1984წელს, პ/ნ 57001013893) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

ა) დადოს მარწმუნებლის სახელით საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" განსაზღვრულ სუბიექტებთან მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 4 000 ლარს. დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების დადებისას შინარსი, პირობები, ფასი, თანხა, ვადა და სხვა. შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი. შეასრულოს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს წარმოშობილი უფლებებით.

ბ) შეასრულოს სხვა მოქმედებები, რაც არ არის მითითებული პირდაპირ მაგრამ გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რწმუნებულს არ აქვს უფლება აღნიშნული უფლებამოსილებანი სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს.

3. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის, ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ---------- ხ. კალანდარიშვილი